განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18.12.2017

დასკვნის წარდგენის თარიღი 31.12.2017

თბილისი
2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სამართლის სადოქტორო პროგრამა**
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**სამართლის დოქტორი (Doctor Juris / PhD in Law), 06**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი გეგენავა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ქარდავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების მოწვეული ლექტორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამართლის სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტის მოცულობისაა და შედგება სავალდებულო და არჩევითი დისციპლინებისგან, რომელთა ჯამური მოცულობა 60 კრედიტს არ აღემატება. 120 კრედიტი ეთმობა სადოქტორო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას. სადოქტორო პროგრამა კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების ფარგლებშია შესრულებული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 18 დეკემბერს 09:00 სთ-დან სდასუს შენობაში (თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.25). ვიზიტის ფარგლებში შედგა რამდენიმე ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სადისერტაციო საბჭოს წევრებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფს გააცნეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაძლებლობები. მთლიანობაში ვიზიტმა მშვიდ და საქმიან გარემოში ჩაიარა, გარდა დასკვნითი ეტაპისა, როდესაც უნივერსიტეტის რექტორის მხრიდან განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მისამართით გარკვეული უკმაყოფილება გამოითქვა, რაც ექსპერტების მიერ ძირითადი მიგნებების გაცნობას მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ვიზიტი წარმატებულად შეიძლება შეფასდეს, რადგან, საბოლოო ჯამში, შეფასების პროცესმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა ფორმალური თვალსაზრისით შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს, კრედიტები ადეკვატურადაა გადანაწილებული. შინაარსობრივი თვალსაზრისით, სადოქტორო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები და ხარვეზები ძირითადად აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტიურობის, კვლევისთვის აუცილებელი ტექნიკური რესურსების, წიგნადი ფონდებისა და ბაზების, ასევე, სწავლების მეთოდების მიმართულებით.

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ არცერთ სტუდენტს ჯერჯერობით არა აქვს დაცული სადოქტორო ნაშრომი, მხოლოდ ერთია წარდგენილი ზეპირი დაცვისთვის. სადოქტორო და შესრულებული სასემინარო ნაშრომები, ასევე, კოლოკვიუმების შეფასებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, აკადემიური ციტირების, წყაროთა დამოწმებისა და კვლევის სტანდარტის დარღვევა.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და მიზნების მიღწევადობის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ყველა ვალდებულების აკადემიურ დონეზე განხორციელება. ამიტომაც, უნდა გადაიხედოს სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხები, სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები, სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები.

- პროგრამის მიზნების მიღწევადობის მტკიცების მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკა და დოქტორანტებს წვდომა ჰქონდეთ აქტუალურ, თანამედროვე, დარგის ახალ მიღწევებზე ორიენტირებულ სალიტერატურო წყაროებზე და ახალ გამოცემებზე, რომელთა გაცნობითა და შესწავლით ისინი საკუთარი უნარებით, პროფესიონალიზმითა და ღირებულებებით თავსებადი იქნებიან ცოდნის სტანდარტების იმ სივრცეში, რაც დეკლარირებულია უნივერსიტეტის მისიით, ამავდროულად, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკით - ევროპული სტანდარტებისკენ სვლა.
- პროგრამის მიზანი - შექმნას ახალი ცოდნა და შესთავაზოს სტუდენტს კვლევის ინოვაციური მეთოდები, საჭიროებს ახსნას და დეტალიზებას პროგრამის შინაარსით (და სათანადო კომპონენტებით), რათა უკეთ იქნეს გაგებული პროგრამის მიღწევადობის შედეგები, ამავდროულად, - პროგრამის მომხმარებლისთვისაც უკეთ იყოს გაგებული, რატომ უნდა აირჩიოს კონკრეტულად ეს პროგრამა და არა სხვა.
- პროგრამის მიზნის მიღწევადობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პოლიტიკა. აუცილებელია მყარი ურთიერთკავშირების გამოკვეთა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში უნდა განისაზღვროს უცხო ენათა რაოდენობა ჩამონათვალის სახით, რათა უნივერსიტეტს არ შეექმნას პრობლემა მიღებული დოქტორანტის იმ ენაზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის კუთხით, რომელ ენაზეც ლიტერატურაც (მათ შორის, ელექტორნული) არ მოიძიება მის საბიბლიოთეკო ბაზაში. ამასთან, უცხო ენის განსაზღვრა ხელს უწყობს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალობასა და ღიაობას.
- დებულებაში უნდა გაიწეროს ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოხდება სადისერტაციო თემატიკის წინასწარ განსაზღვრა, რომელზეც დოქტორანტობის მსურველ პირს შეეძლება ჩაბარება.
- უნდა განისაზღვროს მიმღები დარგობრივი კომისიის მუშაობისა და კონკურსში მონაწილე პირთა შეფასების კრიტერიუმი.
- უნივერსიტეტმა სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილში, სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უნდა გამიჯნოს შეთავაზებული კომპონენტების მიხედვით, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება თითოეული კომპონენტის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან და რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს მიღწევას.
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისთვის აუცილებელია სამართლის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი მუშაობდეს გამართულად, ასევე სპეციალური ბაზებზე როგორიცაა: “Lexisnexis” და “Heinonline” - უნივერისტეტმა უნდა უზრუნველყოს სრული წვდომა;
- სამართლის სკოლის დოქტორანტს, აუცილებელია ქონდეს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის უფლება;
- უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სპეციალური პლაგიატის პროგრამა რომლის მეშვეობითაც მოხდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება;
- მნიშვნელოვანია, სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ დოქტორანტი პრაქტიკულად, და არა თეორიულად,

ფლობდეს ყველა იმ უნარ-ჩვევას რასაც დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტი ითვალისწინებს.

- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო და საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებულად ჩაითვლება, თუ აღნიშნული უნივერსიტეტის დოქტორანტი/დოქტორი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი იქნება. ამისათვის კი, აუცილებელია დოქტორანტების მიერ დამუშავებული სტატიები, სასემინარო ნაშრომები და სადისერტაციო ნაშრომი იყოს აქტუალური. ამ მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა მაქსიმალურად მოხდეს წახალისება, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სრული დაფინანსება საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნება. იმისთვის, რომ სტუდენტმა შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ნაშრომის დამუშავება, საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი კვლევითი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იქნეს სამართლის ყველა დარგის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ და აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს დოქტორანტებისთვის წიგნად ფონდებზე უშუალო წვდომა და ბიბლიოთეკაში დამატებითი სივრცის გამოყოფა
- ელექტრონული კატალოგი უნდა იყოს მოქნილი, ყველა წიგნი იქნეს შეტანილი და მარტივი გადამოწმებით უნდა შეეძლოს დოქტორანტს წიგნის მოძიება
- აუცილებელია იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზების ინტეგრირება კვლევის პროცესში, რამდენიმე მნიშვნელოვან ელექტრონულ სამართლებრივ ბაზაზე (მაგ., HEINONLINE, BECKONLINE, LEXINEXIS, WESTLAW და ა.შ.) შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა
- უნდა გაიზარდოს დოქტორანტების სამუშაო სივრცე და დაემატოს დოქტორანტთა რიცხოვნობის პროპორციულად სამუშაო ადგილები, კომპიუტერები და ა.შ.
- აუცილებელია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გარკვეული პერიოდული ციკლის დაცვით განხორციელდეს პროგრამის შეფასება, ე.წ. შჭOთ ანალიზი, რომლის შედეგებზე დაკვირვების შედეგები გაანალიზდება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად აქტიურად და რეალურად იყოს გამოყენებული შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რა პროცესში რეალურად იქნება ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე
- აუცილებელია პროგრამის განხორციელებაში, სწავლებასა და კვლევის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები იყვნენ ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება ექნებათ, რაც, თავის მხრივ, განმტკიცებული იქნება შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის აკადემიური ნაშრომებით კონკრეტული კვლევითი მიმართულებით. ამასთან, პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით არ გულისხმობს და ვერ იქნება იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პირს აკადემიური თვალსაზრისით ეყოფა უნარები და გამოცდილება დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის.
- აუცილებელია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად ასოცირდებოდეს უნივერსიტეტთან და მისი პირველადი და ძირითადი საქმიანობა კვლევა, პროგრამის

ხელმძღვანელობა იყოს, რათა მაქსიმალურად ბევრი დრო დაუთმოს პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ განვითარებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და დასაქმების ბაზარზე ორიენტირების მიზნით, მიზანშეწონილია, გამოიკვეთოს შესაბამისი უზრუნველმყოფი მექანიზმების შექმნის გარემო (მათ შორის დასაქმების ბაზრის სათანადო კვლევის თვალსაზრისით, რათა განისაზღვროს ის სპეციფიკური საჭიროებები, რაც აისახება სდასუ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამაში).
  - პროგრამის სამწლიანი ბიუჯეტი საჭიროებს კორექტირებას და დაზუსტებას.
  - პროგრამა საჭიროებს ძლიერ მენეჯმენტს.
  - სასურველია, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს შესთავაზოს უცხოელი აკადემიური პერსონალის სალექციო ან სატრენინგო კომპონენტები უცხო ენაზე. ამავდროულად, მიზანშეწონილია რომელიმე სასწავლო კომპონენტი წარიმართოს უცხო ენაზე (იგულისხმება ევროპულ სივრცესთან დაახლოების კუთხით ევროკავშირის სტრუქტურების რომელიმე სამუშაო ენა - ინგლისური, ფრანგული, გერმანული); კარგი იქნებოდა ენის უნარების განვითარების მიზნით, ენის სასწავლო კურსების შეთავაზება. აღნიშნული მიმართულებით სადოქტორო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახებოდა სწავლის შედეგების ჩამოაყლიბებაზე, სადაც გაიწერებოდა, რომ დოქტორს აქვს უნარი კვლევითი საქმიანობის დროს გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.
  - სასურველია, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს დამსაქმებლებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკა, დაიდოს მათთან შეთანხმებები, რომლის ფარგლებში დამსაქმებლები დააფიქსირებენ კონკრეტულ მოთხოვნებს, გამოხატავენ ინტერესს კონკრეტულ სფეროში დოქტორანტების სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ დაასაქმებდნენ კურსდამთავრებულებს. ასეთი ურთიერთობის ფარგლებში არ არის გამორიცხული დამსაქმებელმა თავადვე დააფინანსოს სწავლება ან სწავლების პერიოდში პრაქტიკა საზღვარგარეთის რომელიმე უნივერსიტეტში ან სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. ასეთი პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სწავლის შედეგების მიღწევას დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიზნით. პროგრამასაც გააძლიერებდა და გახდიდა რეალურად განსხვავებულს და ინოვაციურს სხვა პროგრამებთან შედარებით.
  - მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიული იყო და ერთმანეთს განაპირობებდნენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები იყოს რეალისტური და ზუსტად გამომდინარეობდეს იმ მოცემულობიდან რას რა მეთოდით ასწავლიან.
  - სასურველია, განხორციელდეს სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი, რომელიც სამომავლოდ გამოყენებულ იქნება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას.
  - სასურველია სტუდენტებს, ბიბლიოთეკაში, წიგნებთან პირდაპირი ფორმით ხელშემხელბლობის საშუალება ქონდეთ და სამართლის ლიტერატურის სექცია ცალკე იყოს გამოყოფილი.
  - პროგრამის რეალური განვითარებისათვის სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის შეფასება, შეფასების შედეგად რეკომენდაციების წარმოდგენა უზრუნველყოს პროგრამის სამომავლო განვითარების უწყვეტი ციკლის შესანარჩუნებლად.

- პროგრამის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პირების აქტიურო ჩართულობა, ბაზრის კვლევა და მისი შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- სასურველია მაქსიმალურად რამდენიმეენოვანი ლიტერატურა იქნეს მითითებული დამატებით მასალებში, ძირითადი კი წარმოდგენილი იყოს მეტი კვლევით და თანამედროვე დასავლეთევროპული წყაროებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <u>სდასუ-ს მისიაა</u> სრულად შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს, იმავდროულად განასახიერებდეს საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს. უნივერსიტეტი ორიენტირებულია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრების, არამედ ზნეობრივად სრულყოფილ, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ, დემოკრატიულ ღირებულებებთან ნაზიარებ პიროვნებთა აღზრდაზე. სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანი მისიას შეესაბამება. სამართლის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, რომ *მისი კურსდამთავრებული ფლობდეს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნის, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და კვლევის ინოვაციური მეთოდებით სარგებლობის საშუალებას იძლევა.* პროგრამის ხელმძღვანელთან დაისვა შეკითხვა, რა ახალი ცოდნის შექმნას და კვლევის ინოვაციურ მეთოდებს სთავაზობს სტუდენტებს და რა არის ის ინდივიდუალური ნიშანი, რაც ამ პროგრამას განასხვავებს სხვა სამართლის სადოქტორო პროგრამებისგან. პასუხი იყო ის, რომ სტუდენტი თავად გვთავაზობს საკვლევი თემატიკის ფარგლებში ახალ მიგნებებს, პრობლემებს, მათი გადაწყვეტის გზებს, რაც არის კიდეც ახალი ცოდნის შექმნა. **ფაქტიურად ვერ დასახელდა პროგრამა რა ახალი ცოდნის შექმნას და კვლევის ინოვაციურ მეთოდებს სთავაზობს დოქტორანტებს და პროგრამაში განსაზღვრული მიზანი ეს მიზანი პროგრამის რომელი კომპონენტებით არის უზრუნველყოფილი?** (მაგ.: შემოთავაზებული ყოფილიყო სპეციალური კურსი - კვლევის ინვოაციური მეთოდები; ან საგანში - სწავლების თანამედროვე მეთოდები, - ყოფილიყო ინტეგრირებული კვლევის ინოვაციური მეთოდების სწავლება; ან ისეთი კომპონენტი შეეთავაზებინა დოქტორანტებისთვის, რომელიც იქნებოდა სიახლე სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო ბაზარზე და სხვ.). პროგრამის დასაქმების ბაზარზე ორიენტირების მტკიცების მიზნით თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული იყო დასაქმების ბაზრის კვლევა. თუმცა ამ კვლევაში არ არის წარმოდგენილი არსებითი ხასიათის კლასიფიცირებული ინფორმაცია, როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი. მაგ.: რამდენი სამართლის დოქტორია საქართველოში? დასაქმების ბაზარი დეფიციტურია სამართლის დოქტორებთან დაკავშირებით? თუ დეფიციტურია, როგორია მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთკავშირი? დასაქმების ბაზარზე რომელი პროფესიული მიმართულების სამართლის დოქტორებია მოთხოვნადი? დასაქმების ბაზრის კვლევამ რა შედეგებზე გაიყვანა უნივერსიტეტი, რომ ზუსტად განსაზღვროს ის სპეციფიკა, რაც უნდა დააკმაყოფილოს და აქციოს პროგრამის ძლიერ მხარედ მასში შესაბამისი კომპონენტების ინტეგრირებით? და სხვა. დასაქმების ბაზრის მკვლევართან დაისვა შეკითხვა, - კონკრეტულად რაში გამოიყენა უნივერსიტეტმა კვლევის შედეგები? პასუხი იყო ის, რომ შესაწავლილ იქნა გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა, სადაც ითხოვდნენ დოქტორის ხარისხის მქონე პირებს და რომ ნოტარიუსებს არ მოეთხოვებათ გამოცდების ჩაბარება, თუ სამართლის დოქტორები არიან. ეს უკანასკნელი ნუანსი არ საჭიროებდა კვლევას, რამეთუ ნორმატიულად განმტკიცებული ფაქტია და ყველა უნივერსიტეტი, ვისაც კი აკრედიტირებული აქვს

სამართლის სადოქტორო პროგრამა, ფლობს აღნიშნულზე ინფორმაციას. **ფაქტობრივად ვერ გამოიკვეთა ბაზრის კვლევის შედეგების პროგრამის მიზნებისთვის გამოყენების ასპექტები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან კვლევის განხორციელება პოზიტიური მიდგომაა საკითხისადმი, თუმცა, კვლევა არ მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც გამოყენებული იქნებოდა პროგრამის განვითარებისთვის, პროგრამის მიზნების მიღწევადობის გარემოს გაძლიერებისა და პროგრამისთვის ინდივიდუალური ხასიათის მისანიჭებლად, რაც მას მომავალში განასხვავებდა სხვა ანალოგიური პროგრამებისგან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნება, დაუთმოს დრო და რესურსი ბაზრის კვლევას, არაპროფესიონალური მიდგომით, ფაქტიურად გამოუსადეგარია. კვლევის შედეგად მინიმუმ პასუხი უნდა გაიცეს შემდეგზე, - რა და როგორ აისახოს პროგრამის მიზნებსა და შინაარსში.**

პროგრამის მიზნების მიღწევადობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია აკადემიური პერსონალის კომპეტენციები. ამ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრების დროს დაისვა შეკითხვები როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე, სხვა ზოგიერთი პერსონალის მიერ შედგენილი სილაბუსებისა და სამეცნიერო ნაშრომების თაობაზე. არის შემთხვევები, როცა სამეცნიერო ნაშრომების სიაში მითითებულია გამოქვეყნებული სტატიები გაზ. რეზონანსში, გაზ. საქართველოში, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ბიულეტენში, გაზ. პოლიტიკაში; ზოგიერთი პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების სია შემოიფარგლება სამი სტატიით, რომელთაგან ბოლო გამოქვეყნებულია 2009 წელს და ამის შემდეგ არ უფიქსირდება სამეცნიერო-კვლევითი საქიანობა. ამავდროულად, ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურა არააკდემიური ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: მეცნიერების მენეჯმენტში სავადებულო ლიტერატურად მითითებულია 37 ინტერნეტ წყარო, აქედან ნაწილი ისეთი ვებ-გვერდებია, სადაც წიგნის გაყიდვის პირობებია შემოთავაზებული. აქვე არც ერთ სავალდებულო ლიტერატურას აკადემიური რეკვიზიტები არ აქვს მითითებული. არის სხვა საგნების სილაბუსებიც, სადაც მითითებული ვებ-გვერდები არ იხსნება. აღნიშნულ ნუანსებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანლის და ადმინსიტრაციის წარმომადგენლების წინაშე დაისვა შეკითხვა, რატომ არ იქნა გაწეული სათანადო მუშაობა აკადემიურ პერსონალთან, ან თავად პროგრამის ხელმძღვანელობის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რატომ არ იქნა შემჩნეული და გამოსწორებული ეს ხარვეზები? პროგრამის ხელმძღვანლის მხრიდან პასუხი იყო, რომ ის მოსამართლეა და ვერ ახერხებდა დროის დეფიციტის გამო სტატიებზე მუშაობას, ხოლო რაც შეეხება მთლიანად პროგრამას და მისი კომპონენტების შემოწმებას აკადემიურობის თვალსაზრისით, - ეტყობა გამორჩათ და გამოასწორებენ.

პროგრამის მიზნების მიღწევადობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია, ბიუჯეტიც. თავდაპირველად წარმოდგენილი ბიუჯეტი ვერ ასახავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ რეალობას (შეიცავდა ძალიან მწირ დაფინანსებას). ვიზიტის დროს ხელახლა მოთხოვნილ იქნა ბიუჯეტი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა უახლესი გეგმების ისეთი სპექტრი, რისთვისაც თავისთავად იგულისხმებოდა სოლიდური ფინანსების გამოყოფა. ხელმეორედ წარმოდგნილ ბიუჯეტში დაფინანსების წყარო საგრძნობლად გაზრდილია, თუმცა კითხვის ნიშნები მაინც რჩება. თუნდაც იმ ფაქტთან დაკავშირებით, რამდენი იქნება შრომის ანაზღაურებისთვის გაწეული ხარჯები. ბიუჯეტი გაწერილია 3 წლისთვის. ამ პერიოდისთვის შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილია 27 710 ლარი. აკადემიურ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმძღვანელობენ დოქტორანტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას, წელიწადში იღებენ 1000 ლარს. სულ გაფორმებულია 17 დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება. რისთვისაც წელიწადში გადაიხდება 17 000, ხოლო 3 წელში ეს თანხა აღწევს 51 000 ლარს. ამას კი უნდა დაემატოს იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება რომლებიც ეწევიან სასწავლო კომპონენტის გავლას დოქტორანტებთან. ამავდროულად, დოქტორანტების გადასახდელი

თანხაა 4000 ლარი. ხოლო ბიუჯეტში წერია, რომ სწავლის საფასურიდან მიღებული თანხები შეადგენს 222 000. ეს რიცხვი არ იყოფა დოქტორანტების ზუსტ რაოდენობაზე (222 000:4000=55.5).

პროგრამის მიზნების მიღწევადობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია საბიბლიოთეკო რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დროს დათვალიერდა ბიბლიოთეკა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება 500-მდე სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს და 150-მდე სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს. ამ ოდენობის აუდიტორიისთვის ბიბლიოთეკის ფართი იყო საკმაოდ მცირე. ბიბლიოთეკაში იყო სულ 4 კომპიუტერი. რაც შეეხება ბეჭდურ ბიბლიოთეკას, ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული სამართლის ლიტერატურა სხვა დარგის ლიტერატურისგან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თქმით, ისინი ემზადებიან ავტორიზაციისთვის და აპირებენ ბიბლიოთეკის ფართის მოცულობის გაზრდას. ელექტრონული რესურსების დათვალიერებისას, ვერ განხორციელდა წვდომა ელ-ბიბლიოთეკებზე და საერთაშორისო ბაზებზე. ამ საკითხთან დაკავშირებითაც, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან აღინიშნა, რომ მათ დადეს ახალი ხელშეკრულებები და ტექნიკურად ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი წვდომა, რაც უახლოეს დღეებში გამოსწორდება.

ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო აკრედიტაციის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელის ამ პროცესში ჩართულობის დონემ. ის არ ესწრებოდა შეხვედრას პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ერთად. იგი გამოცხადდა მხოლოდ ნაშუადღევს (დაახლოებით 16.00 საათისთვის), ხოლო ამის შემდეგ არ დაესწრო შეხვედრას, სადაც ექსპერტებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები. ვიზიტის განმავლობაში რამოდენიმეჯერ იქნა ნახსენები, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მოსამართლეა და მისი დრო ძალიან გადატვირთულია. ეს გარემოება, შესაძლოა დასახელდეს პროგრამის მიზნების მიღწევადობის სუსტ მხარედ რამეთუ პროგრამის განვითარებას და მისი მიზნების/ამოცანების ხარისხიან და ეფექტურ შესრულებას სჭირდება ძლიერი ხელმძღვანელობა, ჩართულობა, მონიტორინგი, შინაარსობრივი თუ პროცედურული საქმიანობის კონტროლი და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, სილაბუსები, ვიზიტის დროს მიღებული ინფრმაცია.

რეკომენდაციები:

- პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და მიზნების მიღწევადობის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ყველა ვალდებულების აკადემიურ დონეზე განხორციელება. ამიტომაც, უნდა გადაიხედოს სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხები, სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები, სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები.
- პროგრამის მიზნების მიღწევადობის მტკიცების მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკა და დოქტორანტებს წვდომა ჰქონდეთ აქტუალურ, თანამედროვე, დარგის ახალ მიღწევებზე ორიენტირებულ სალიტერატურო წყაროებზე და ახალ გამოცემებზე, რომელთა გაცნობითა და შესწავლით ისინი საკუთარი უნარებით, პროფესიონალიზმითა და ღირებულებებით თავსებადი იქნებიან ცოდნის სტანდარტების იმ

სივრცეში, რაც დეკლარირებულია უნივერსიტეტის მისიით, ამავდროულად, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკით - ევროპული სტანდარტებისკენ სვლა. - პროგრამის მიზანი - შექმნას ახალი ცოდნა და შესთავაზოს სტუდენტს კვლევის ინოვაციური მეთოდები, საჭიროებს ახსნას და დეტალიზებას პროგრამის შინაარსით (და სათანადო კომპონენტებით), რათა უკეთ იქნეს გაგებული პროგრამის მიღწევადობის შედეგები, ამავდროულად, - პროგრამის მომხმარებლისთვისაც უკეთ იყოს გაგებული, რატომ უნდა აირჩიოს კონკრეტულად ეს პროგრამა და არა სხვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის – პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და დასაქმების ბაზარზე ორიენტირების მიზნით, მიზანშეწონილია, გამოიკვეთოს შესაბამისი უზრუნველმყოფი მექანიზმების შექმნის გარემო (მათ შორის დასაქმების ბაზრის სათანადო კვლევის თვალსაზრისით, რათა განისაზღვროს ის სპეციფიკური საჭიროებები, რაც აისახება სდასუ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამაში). – პროგრამის სამწლიანი ბიუჯეტი საჭიროებს კორექტირებას და დაზუსტებას. – პროგრამა საჭიროებს ძლიერ მენეჯმენტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან*

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ცალკეული კომპონენტების შინაარსი და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ცალკეული კომპონენტების სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკის მიუხედავად ფაქტობრივად

ერთიდაიგივეა, ამავდროულად, საკმაოდ მრავლობითია და იყენებს ყველა იმ მიდგომას, რაც ზოგადად დაშვებულია სწავლების პროცესში. მაგ.:

- მეცნიერების მენეჯმენტში გაწერილია შემდეგი მეთოდები: *ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მუშაობა, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დისკუსიას, დებატებს, გუნდურ ფორმატში მინი-პროექტების მომზადება, შემთხვევის ანალიზს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, ვერბალურ დემონსტრირებას, გონებრივ იერიშს, ახსნა-განმარტებას.*
- სამეცნიერო წერის კულტურაში: *ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. გამოყენებული იქნება გონებრივი იერიში (Brain storming); მოდელირებული სიტუაციების განხილვა, შემთხვევის ანალიზი; ევრისტიკული მეთოდი, შედარებითი ანალიზის მეთოდი; ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative), თანამშრომლობითი სწავლება; დისკუსია, დებატები, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მეთოდი.*
- სწავლების თანამედროვე მეთოდები: *ინტერაქტიული ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დისკუსიას, დებატებს, პრეზენტაციას, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, შემთხვევის ანალიზს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, დემონსტრირებას.*
- სამართლებრივი კვლევის მეთოდები: *ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოყენებული იქნება დისკუსია, სემინარი, პრეზენტაცია, წერითი დავალებები, ინდუქციის, დედუქციის ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; ახსნა-განმარტებები, შედარებითი კვლევები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სოკრატეს მეთოდი.*

გარდა ზემოაღნიშნულისა, თითოეული მეთოდის გამოყენება უნდა განაპირობებდეს სწავლის კონკრეტულ შედეგებს. მაგ.: სასწავლო კურსში - სწავლების თანამედროვე მეთოდები - გამოიყენება სწავლის ისეთი მეთოდი როგორიცაა სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ხოლო სილაბუსში სწავლის შედეგებში ვერსად ვხვდებით გუნდური მუშაობის უნარს. სტუდენტების ჩართვა ჯგუფურ საქმიანობაში პირდაპირპროპორციულად და აუცილებლად უნდა ავითარებდეს მათი ერთობლივად მუშაობის უნარებს, როგორიცაა - სუბიექტური აზრის არგუმენტირება და გატანა, ამავდროულად, სხვისი მოსაზრების მიღება ან/და საკუთარი დამოკიდებულების სხვის დამოკიდებულებებთან შერწყმა, ერთობლივი ინტერესების კვეთის წერტილების მოძიება და ბოლოს საერთო ხედვის/პოზიციის ჩამოყალიბება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის პროგრამა, სილაბუსები.

რეკომენდაციები:

პროგრამის მიზნის მიღწევადობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პოლიტიკა. აუცილებელია მყარი ურთიერთკავშირების გამოკვეთა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მთლიანობაში აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს დოკუმენტის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები, რომელთა შესაბამისად სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა გამოუმუშავდეს აუცილებელი კომპეტენციები. თუმცა, რიგი კომპეტენციების გამომუშავების საკითხი არ არის ნათელი. მაგ.:

- ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში დოქტორი ფლობს *„ცოდნის გადაცემისა და სწავლების განხორციელების ინოვაციურ მეთოდებს“. კვლევის და სწავლების* ინოვაციური მეთოდების შეთავაზება არის კიდეც სამართლის პროგრამის ერთ-ერთი მიზანი. თუმცა შეკითხვაზე - კონკრეტულად რა ინოვაციურ მეთოდებს სთავაზობთ სტუდენტებს - პასუხი ვერ იქნა გაცემული. არც რომელიმე კონკრეტული კომპონენტის სილაბუსი ამტკიცებს ფაქტს, რომ ადგილი აქვს ინოვაციური სწავლების მეთოდებს. თუ შეთავაზება ვერ ხდება, სტუდენტს როგორ უნდა გამოუმუშავდეს ზემო აღნიშნული კომპეტენცია?

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ნაწილში დოქტორს შეეძლება: *შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რაც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე.* არ არის ნათელი რატომ გადაწყდა და დადგინდა რომ დოქტორი ვალდებულია აუცილებლად გამოუმუშავდეს კომპეტენცია, შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები. დოქტორისთვის რატომ არის სავალდებულო ამ უნარის გამომუშავებაზე იყოს ორიენტირებული ან ამ კომპეტენციის ფლობა სწავლის შედეგში ასახოს? დოქტორმა აუცილებლად უნდა გამოიმუშავოს უნარი <u>გამოიყენოს</u> ის კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, რასაც ასწავლიან სადოქტორო პროგრამის ფარგლებში და არა <u>შეიმუშაოს</u> ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, სამართლის პროგრამა, სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიული იყო და ერთმანეთს განაპირობებდნენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები იყოს რეალისტური და ზუსტად გამომდინარეობდეს იმ მოცემულობიდან რას რა მეთოდით ასწავლიან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ყველა დოქტორანტი დასაქმებულია და მათი უმრავლესობა წარმოდგენილია მაღალი რანგის პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ თანამდებობებსა და სამართალმდამცავ სტრუქტურებში მაღალ სამსახურებრივ პოზიციებზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით, შეხვედრის დროს დასმულ იქნა შეკითხვა, რამდენად ესწრებიან დოქტორანტები სასწავლო პროცესს, რათა მიღწეულ იქნეს სწავლის შედეგები, რამეთუ სალექციო კურსებზე აქტიური მონაწილეობა და იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც მოცემულია თითოეული კომპონენტის ფარგლებში, განაპირობებს დოქტორანტების უნარების გაძლიერებას, სწვლის შედეგებზე გასვლას, პროფესიული და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობების ზრდას. პასუხი იყო შემდეგი: დოქტორანტების დასაქმების ფაქტი გათვალისწინებულია, ამიტომაც სალექციო კურსებს სთავაზობენ საღამოს საათებში. უნივერსიტეტში სასწავლო კომპონენტის გავლა გათვალისწინებული იყო 2 სემესტრის განმავლობაში, ამჟამად, სთავაზობენ - 3 სემესტრიან სასწავლო კომპონენტს. დოქტორანთა სალექციო კურსებზე დასწრების ფაქტის დასტურად ექსპერტებმა მოითხოვეს ლექციებზე დასწრების გრაფიკი, რაც არ იქნა მოწოდებული. პროგრამის ფარგლებში არჩევით კურსად შეთავაზებულია უცხოეთში ერთი სემესტრის განმავალობში სასწავლო კურსის გავლა, თუმცა ეს არ არის სავალდებულო და უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის მხრიდან, რაც დოქტორანტს მისცემდა შესაძლებლობას გაეძლიერებინა საგნობრივი ცოდნა, ასევე, - ენის ცოდნის უნარები. ეს კი მეტად კონკურენტუნარიანს გახდიდა კურსდამთავრებულს დასაქმების ბაზარზე, ასევე უზრუნველყოფდა მისი ცოდნის ინტერნაციონალიზაციასაც. თვითშეფასების ანგარიშის თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული იყო კვლევა სამართლის პროგრამის დოქტორანტების და სამართლის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესწავლისა და შრომის ბაზრის მოლოდინების შესახებ. კვლევის პროცესში 5 კატეგორიის რესპოდენტებთაგან, დამსაქმებლის სტატუსით გამოკითხულ იქნენ უნივერსიტეტები, რომლებიც ქმნიან დოქტორანტებსა და სამართლის აკადემიური ხარისხის მქონე პირებზე მოთხოვნას. ინტერვიუს დროს დასმულ იქნა შეკითხვა, რომელი უნივერსიტეტები გამოიკითხნენ. ეს უნივერსიტეტები იყვნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. კვლევა ჩატარდა იმ მიზნით, რომ პროგრამის ფარგლებში უკეთ განსაზღვრულიყო თითოეული კომპონენტის ფარგლებში სწავლის შედეგების უზრუნველყოფა. სწავლის სათანადო შედეგების მიღწევის და დასაქმების ბაზარზე ორინეტირების შეფასების მიზნით და, ასევე, შედგა გასაუბრება დამსაქმებლებთან. დამსაქმებლის მხრიდან აღინიშნა რომ რამოდენიმეჯერ წარუდგინა საკუთარი ხედვა პროგრამის განვითარების მიზნით და სწავლის ისეთი შედეგების მისაღწევად, რაც თანამედროვე შრომით ბაზარზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. კურსდამთავრებული რამოდენიმე ძირითად მოთხოვნას თაბნაბრად უნდა აკმაყოფილებდეს - იყოს პროფესიონალი იურისტი ფლობდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს და იცოდეს ენები. სხვათაშორის სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო კურსი. ხოლო რაც შეეხება ენის უნარების განვითარებას, არც ერთი სასწავლო კომპონენტი

არ ისწავლება უცხო ენაზე და არც ენის კურსებია შეთავაზებული. არც სწავლის შედეგების რუქაში კი არ არის გათვალისწინებული ენის ცოდნასთან დაკავშირებული კომპეტენციების გამომუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს შესთავაზოს უცხოელი აკადემიური პერსონალის სალექციო ან სატრენინგო კომპონენტები უცხო ენაზე. ამავდროულად, მიზანშეწონილია რომელიმე სასწავლო კომპონენტი წარიმართოს უცხო ენაზე (იგულისხმება ევროპულ სივრცესთან დაახლოების კუთხით ევროკავშირის სტრუქტურების რომელიმე სამუშაო ენა - ინგლისური, ფრანგული, გერმანული); კარგი იქნებოდა ენის უნარების განვითარების მიზნით, ენის სასწავლო კურსების შეთავაზება. აღნიშნული მიმართულებით სადოქტორო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახებოდა სწავლის შედეგების ჩამოაყლიბებაზე, სადაც გაიწერებოდა, რომ დოქტორს აქვს უნარი კვლევითი საქმიანობის დროს გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში. სასურველია, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს დამსაქმებლებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკა, დაიდოს მათთან შეთანხმებები, რომლის ფარგლებში დამსაქმებლები დააფიქსირებენ კონკრეტულ მოთხოვნებს, გამოხატავენ ინტერესს კონკრეტულ სფეროში დოქტორანტების სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ დაასაქმებდნენ კურსდამთავრებულებს. ასეთი ურთიერთობის ფარგლებში არ არის გამორიცხული დამსაქმებელმა თავადვე დააფინანსოს სწავლება ან სწავლების პერიოდში პრაქტიკა საზღვარგარეთის რომელიმე უნივერსიტეტში ან სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. ასეთი პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სწავლის შედეგების მიღწევას დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიზნით. პროგრამასაც გააძლიერებდა და გახდიდა რეალურად განსხვავებულს და ინოვაციურს სხვა პროგრამებთან შედარებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, რომლებთანაც დაისვა შეკითხვა პროგრამის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის თაობაზე. აკადემიურმა პერსონალმა და სტუნდეტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაცია მათ რამოდენიმეჯერ შეხვდა და იყო მსჯელობა პროგრამის შინაარსის, ასევე პროგრამის კომპონენტებთან დაკავშირებით. თუმცა როცა ექსპერტების მხრიდან დაისვა შეკითხვა დოქტორანტებთან, - გამოთქვეს თუ არა მათ მოსაზრება უცხოეთში ერთი სემესტრის გავლის პირობების თაობაზე და ფლობენ თუ არა ინფორმაციას მათგან რა არის საჭირო ასეთი შესაძლებლობის გამოყენებისთვის, - აღმოჩნდა, რომ ამის თაობაზე ინფორმაცია არ აქვთ.

პროგრამის განვითარების მექანიზმებიც შემუშავებულია, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების (ტექნიკური მონიტორინგის და აკადემიური ექსპერტიზის) კრიტერიუმები.

- არის სპეციალური კითხვარებიც, რის საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცდილობს ხარვეზების გამოვლენასა და აღმოფხვრას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაწერილია სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში, რომელიც განსაზღვრავს სამართლის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებად უცხო ენის B2 დონის გამოცდას/სერტიფიკატის არსებობასა,ხოლო შემდგომ ეტაპზე ის გასაუბრებას გადის შესაბამის დარგობრივ კომისიასთან. თუმცა, არ არის დადგენილი ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის მისაღებ კონკურსში მონაწილე პირი შეფასდება.

წარმოდგენილი თვითშეფაების ანგარიშიდან ირკვევა, რომ უცხო ენის ჩამონათვალი დოქტორანტურის დებულებაში არ არის განსაზღვრული და დოქტორანტობის მსურველი ვერ იგებს თუ რა ენაზე შეუძლია მას მისაღები გამოცდის ჩაბარება. ინტერვიუს მიხედვით, უცხო ენა განისაზღვრება დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების დოკუმენტით. თუმცა, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მიხედვით, დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნა. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ ხდება სხვა ენის (ინგლისურის გარდა) საფუძველზე დოქტორანტობის კანდიდატის გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატის აღიარება.

პროგრამაზე დაშვების პროცესში განსაზღვრულია წინასწარ გამოცხადებული თემის მიხედვით დოქტორანტის ჩარიცხვა, თუმცა ამ ეტაპზე უნივერსიტეტს ასეთი პრინციპის დაცვით არ გამოუცხასდებია მიღება.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის პროცედურა, რომლის თანახმადაც, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ინიშნება ის.

ამჟამად, სდასუ-ს ჰყავს 21 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი, თუმცა აკრედიტაციის შემდგომ (2013 წელი) არც ერთ დოქტორანტს არ დაუცავს დისერტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში.

ინტერვიუები.

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.
რეკომენდაციები: - სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში უნდა განისაზღვროს უცხო ენათა რაოდენობა ჩამონათვალის სახით, რათა უნივერსიტეტს არ შეექმნას პრობლემა მიღებული დოქტორანტის იმ ენაზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის კუთხით, რომელ ენაზეც ლიტერატურაც (მათ შორის, ელექტორნული) არ მოიძიება მის საბიბლიოთეკო ბაზაში. ამასთან, უცხო ენის განსაზღვრა ხელს უწყობს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალობასა და ღიაობას. - დებულებაში უნდა გაიწეროს ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოხდება სადისერტაციო თემატიკის წინასწარ განსაზღვრა, რომელზეც დოქტორანტობის მსურველ პირს შეეძლება ჩაბარება. - უნდა განისაზღვროს მიმღები დარგობრივი კომისიის მუშაობისა და კონკურსში მონაწილე პირთა შეფასების კრიტერიუმი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში, ძირითადად, სწავლების ერთი და იგივე მეთოდებია გამოყენებული: ლექცია, ელექტრონული რესურსით სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სხვადასხვა სილაბუსში მითითებულია სწავლების თითქმის არსებული ყველა მეთოდი, რაც, ბუნებრივია, ბადებს კითხვას თუ რამდენად მოხდება სწავლის დროს ყველა ამ მეთოდის გამოყენება. სასწავლო სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები ლოგიკურ თანმიმდევრობაშია, რაც გულისხობს მათ შორის სწავლების მეთოდთა განსხვავებულობასაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუები

სილაბუსები

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილში, სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უნდა გამიჯნოს შეთავაზებული კომპონენტების მიხედვით, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება თითოეული კომპონენტის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან და რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს მიღწევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო ელემენტებს და არჩევით სასწავლო ელემენტებს. პროგრამა ითვალისწინებს საგნებზე დაშვების წინაპირობებს. შეთავაზებული საგნები ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. კვლევითი კომპონენტი, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, შედგება სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისაგან.

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია მინიმუმ ერთხელ სადისერტაციო ნაშრომით გათვლისწინებული პრობლემატიკის შესახებ მოხსენებით წარდგეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში.

სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება.

ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

სასწავლო კურსების თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენ¬ტული წილი/ხვედრითი წონა შეფასების საერ¬თო სისტემაში. შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა.

დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმალური 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ დოქტორანტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წონა ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი შესრულებული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
- სადიერტაციო საბჭოსადა და დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, განხორციელდეს სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი, რომელიც სამომავლოდ გამოყენებულ იქნება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსებში გათვალისწინებულია სტუდენტების ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. ასევე, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორები დოქტორანტებთან ერთად გამიხილავენ მიღწეულ შედეგებს, ეხმარებიან მათ შედეგების გაუმჯობესებაში და უტარებენ კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულტაციების ცხრილშია გათვალისწინებული. თუმცა, სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი შესრულებული არ არის. არსებობს სტუდენტის მიღწეული შედეგების გაუმჯობესების გზების შესახებ ინფორმაცია და მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში. სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები შიდა სამართლებრივი აქტებით მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია რომ სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის თაობაზე დეტალურად და გასაგებად არის აღწერილი. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შიდასაბართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია. ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ გამოკითხულ სტუდენტთა შეფასებით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. სტუდენტებს მიაჩნიათ რომ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული საგნები მისაღები და პრაქტიკულია მათი პროფესიული განვითარებისთვის. აღსანიშნავია, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები: სამართლის დოქტორანტებისთვის გამოყოფილია სპეციალური სამუშაო ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე, უნივერსიტეტი აღჭურვილია კრიმინალისტიკის უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების, ლაბორატორიით. სამართლის დოქტორანტებს კრიმინალისტიკის სასწავლო კურსის გავლის შესაძლებლობას უნივერსიტეტი უფასოდ

აძლევს. მისი წარმატებით გავლის შემთხვევაში გადასცემს შესაბამის სერთიფიკატს. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს კრიმინალისტიკის დარგში მათი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღო სამართლის დოქტორანტების მოთხოვნები და ლექციების ჩატარების დრო, მოარგო მათ დღისწესრიგს.

უნივერსიტეტს აქვს ერთი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია იურიდიული ლიტერატურა, მათ შორის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით სადაც განთავსებულია ონლაინ ბაზები: “Cambridge Journals Online”, “BioOne Complete”, “Duke Journals Scholarly Collection” და სხვ. (უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკურილება სამეცნიერო პროდუქციის გადაცემაზე #2017/14).
მიუხედავად ზემოთ ხსენებული ბაზების არსებობისა, მათზე წვდომა შეზღუდულია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მტკიცებით, აღნიშნული შეზღუდვა მომწოდებლის ტექნიკური ხარვეზით არის განპირობებული, რაც დროებითია და გამოსწორებადი.
ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი არ მუშაობს გამართულად. ბიბლიოთეკაში წიგნებთან პირდაპირი ფორმით შემხელბლობა სტუდენტებისთვის შეზღუდულია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. სტუდენტებს ეკრძალებათ ბიბლიოთეკის იმ ნაწილში დამოუკიდებლად შესვლა და სასურველი ლიტერატურის მოძიება, სადაც წიგნებია განლაგებული.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც განსაზრვრულია ნორმატიული აქტების ბეჭდურ ვერსიაზე ხელმისაწვდომობა. საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის უფლება უნივერსიტეტს არ აქვს.
აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მოხდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისსამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტთადა სამართლის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესწავლისა და შრომის ბაზრის მოლოდინების შესახებ დოკუმენტში, წარმოდგენილია სტუდენტების მიერ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სასწავლო კომპონენტში, დოქტორანტების მიერ ისეთი სტანდარტული სასწავლო კურსების მოსმენაზე, რაც მათ საფუძვლიანად უნდა გაევლოთ საბაკალავრო, ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.
გამოკითხულ სტუდენტთა აზრით, სწავლისას სტუდენტებს განმეორებით უხდებათ ისეთი სტანდარტული სასწავლო კურსების გავლა, როგორიცაა აკადემიური წერა, ზოგადი კვლევის მეთოდები.
მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სადოქტორო თემების ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში დასმულ კთხვაზე, თუ რამდენად სათანადოდ არიან მომზადებულნი სამეცნიერო სტატიების, სასემინარო და სადისერტაციო ნაშრომების დასამუშავებლად დოქტორანტები, ისე როგორც ამას სადოქტორო პროგრამისთვისთვის დადგენილი სტანდარტი ითვალისწინებს, ზოგიერთი სადოქტორო თემის ხელმძღვანელის მიერ აღინიშნა, რომ მათ უწევთ ზრუნვა იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწაზე რაც აუცილებელია დოქტორანტისთვის ნაშრომზე სამუშაოდ.

მოცემული ვითარებიდან იკვეთება რომ დოქტორანტები სრულფასოვნად არ ფლობენ იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტებით. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ არსებული პროგრამა, სასწავლო კომპონენტის ნაწილში, საკმარისად არ არის სადოქტორო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დებულება; – დოკუმენტი სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესახებ; – სამართლის სკოლის დებულება; – სამართლის სკოლის საბჭოს დებულება; – სამართლის სადოქტორო პროგრამა; – სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება; – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; – დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2018-2021 წლებში); – ხელშეკურილება სამეცნიერო პროდუქციის გადაცემაზე #2017/14; – შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტთა და სამართლის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესწავლისა და შრომის ბაზრის მოლოდინები; – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გამოხმაურება სამართლის სადოქტორო პროგრამაზე; – სამართლის სადოქტორო პროგრამის შეფასება; – აკრედიტაციის ექპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადმინისტრაციასთან,აკადემიურ პერსონალთან, სადოქტორო თემების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან; – ექსპერტთა ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: – სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისთვის აუცილებელია სამართლის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი მუშაობდეს გამართულად, ასევე სპეციალური ბაზებზე როგორიცაა: “Lexisnexis” და “Heinonline” - უნივერისტეტმა უნდა უზრუნველყოს სრული წვდომა; – სამართლის სკოლის დოქტორანტს, აუცილებელია ქონდეს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის უფლება; – უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სპეციალური პლაგიატის პროგრამა რომლის მეშვეობითაც მოხდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება; – მნიშვნელოვანია, სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ დოქტორანტი პრაქტიკულად, და არა თეორიულად, ფლობდეს ყველა იმ უნარ-ჩვევას რასაც დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტი ითვალისწინებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სტუდენტებს, ბიბლიოთეკაში, წიგნებთან პირდაპირი ფორმით ხელშემხელბლობის საშუალება ქონდეთ და სამართლის ლიტერატურის სექცია ცალკე იყოს გამოყოფილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად, დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში, სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის კომპონენტში, გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა. დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსების მიხედვით: სასწავლო კურსით: სწავლების თანამედროვე მეთოდები 125 ასტრონომიული საათიდან სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილია - 93 საათი; სასწავლო კურსით: სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისათვის 125 ასტრონომიული საათიდან, 78 საათი განკუთვნილია –დამოუკიდებელი მუშაობისთვის; სასწავლო კურსით: სამართლებრივი კვლევის მეთოდები

150 ასტრონომიული საათიდან, 102 საათი განკუთვნილია – დამოუკიდებელი მუშაობისთვის;
სასწავლო კურსით: პროფესორის ასისტენტობა
250 ასტრონომიული საათი - განკუთვნილია, საკონტაქტო და
დამოუკიდებელი მუშაობისთვის.
სასწავლო კურსით: სასემინარო ნაშრომი
300 ასტონომიული საათი, განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის;
სასწავლო კურსით: მეცნიერების მენეჯმენტი
125 ასტრონომიული საათიდან 93 საათი - განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის;
სასწავლო კურსით: კურიკულუმის ფორმირების თანამედროვე მეთოდები
125 ასტრონომიული საათიდან, 90 საათი გამოყოფილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის;
სასწავლო კურსით: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში
ასტრონომიული საათიდან, 93 საათი - განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსები;
- დაწესებუების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის სადოქტორო პროგრამის შეფასება;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სადოქტორო თემების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციასთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან, იუსტიციის სასწავლო ცენტრთან, ნოტარიუსთა პალატასთან, საკონსტიტუციო სასამართლოსთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან, საქრთველოს უზენაესს სასამართლოსთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების და მათი მოპოვების შესახებ, ასევე თავადაც ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათ მიერ წარდგენილი პროექტების დაფინანსების სახით.

სტუდენტები ძირითადად მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მათ შორის არის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტმა გამოსცა სამეცნიერო ჟურნალი.

უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2018-2021 წლებში) ითვალისწინებს:

შიდა გრანტებს დოქტორანტების სამეცნიერო კვლებითი პროექტების დასაფინანსებლად, 20 000 ლარის ოდენობით;

სამეცნიერო ჟურნალ "სპექტრის" სამართლის სერიის მომზადებისა და გამოცემის დაფინანსების ხარჯებს, 3500 ლარის ოდენობით;

სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, კონგრესი, სემინარი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვ.) დოქტორანტთა მონაწილეობის დაფინანსების ხარჯებს, 8000 ლარის ოდენობით;

წარჩინებულ დოქტორანტთა სტიპენდიების დაფინანსებას, 12 000 ლარის ოდენობით;

სხვადასხვა ეგიდით გამოცხადებულ სამეცნიერო კონკურსებში გამარჯვებულ დოქტორანტთა თანადაფინანსების ხარჯებს, 9 0000 ლარის ოდენობით;

სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის აუცილებელ სხვა ხარჯებს, 3 0000 ლარის ოდენობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორენდუმები საჯარო დაწესებულებებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2018-2021 წლებში);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სადოქტორო თემების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2018-2021 წლებში) ითვალისწინებს:

მაქს პლანკის კვლევითი ცენტრის სამივლინებო ხარჯებს, 12 000 ლარის ოდენობით;

გაცვლითი პროგრამების ფარგლებში დოქტორანტების უცხოეთში, წელიწადში 3 თვემდე ვადით ვიზიტის თანადაფინანსების ხარჯებს,

12 000 ლარის ოდენობით;

გაცვლითი სასწავლო სემესტრი, პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ძირითად შემთხვევებში მოიცავს სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიისა და შედარებითი სამართლის მიმართულებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ, პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი სემესტრით ნაკლებად არიან დაინტერესებული სტუდენტები, ვინაიდან გაცვლითი პროგრამების სრული დაფინანსების რესურსი უნივერსიტეტს არ აქვს.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საერთაშორისო საგრანტო პროგრამებსა და საერთაშორისო კვლევითი სტიპენდიების მოპოვებისთვის, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ.

ნაკლებად არის წარმოდგენილი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აქტივობა საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში. მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, რაც განპირობებულია ენობრივი ბარიერით და მატერიალური ფაქტორებით (უნივერსიტეტი სრულად არ უზრუნველყოფს საერთაშორისო გამოცემებში სტუდენტთა ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსებას).

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაცვლითი სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სამართლის სხვა დარგებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ არ არის წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტი პოტენციურ დამსაქმებელთა შესახებ. უნივერსიტეტს არ ყავს პარტნიორი ორგანიზაციები სადაც მათი კურსდამთავრებულების დასაქმების რეალური შესაძლებლობა შეიძლება იკვეთებოდეს. ექსპერტთა ვიზიტის დროს გასაუბრებისას აღინიშნა, ამ ეტაპზე აკადემიური საქმიანობას ახორციელებს სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, მარი ქუთათელაძე, რომელიც უძღვება სემინარებს ამავე უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2018-2021 წლებში);
- თანამშრომლობის მემორენდუმი ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტთან;
- თანამშრომლობის მემორანდუმი ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან;
- თანამშრომლობის მემორანდუმი ვილნიუსის მოწინავე კვლევების ინსტიტუტთან;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო და საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებულად ჩაითვლება, თუ აღნიშნული უნივერსიტეტის დოქტორანტი/დოქტორი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი იქნება. ამისათვის კი, აუცილებელია დოქტორანტების მიერ დამუშავებული სტატიები, სასემინარო ნაშრომები და სადისერტაციო ნაშრომი იყოს აქტუალური. ამ მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა მაქსიმალურად მოხდეს წახალისება, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სრული დაფინანსება საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნება. იმისთვის, რომ სტუდენტმა შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ნაშრომის დამუშავება, საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი კვლევითი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იქნეს სამართლის ყველა დარგის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ და აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სდასუს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძირითადად გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები კარგ მდგომარეობაშია და შექმნილია შესაფერისი გარემო სწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტებისთვის გამოყოფილია სამუშაო სივრცე კონსულტაციისა და კვლევაზე მუშაობისთვის, თუმცა სასურველია, დოქტორანტების სამუშაო სივრცე უფრო მეტი რაოდენობის დოქტორანტებზე იყოს გათვლილი, რათა საჭიროებისამებრ შეეძლოს რამდენიმე დოქტორანტს მუშაობა. საბიბლიოთეკო რესურსი ძალზე მწირია, ამასთან, შეზღუდულია წიგნად ფონდთან უშუალოდ დოქტორანტის პირდაპირი წვდომა, საბობლიოთეკო სივრცე ძალიან პატარაა სამუშაოდ და ამასთან, გადატვირთული. ელექტრონულ კატალოგებში წიგნადი ფონდის უმეტესობა არაა ასახული, ამ პირობებში კი წარმოუდგენელია, როგორც უნდა მოახერხოს დოქტორანტმა წიგნების მოძიება და შესაბამის ლიტერატურაზე წვდომა. უნივერსიტეტს არა აქვს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სრულ რესურსზე და შეზღუდული აქვს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობა. კოდექსის პროგრამაზე წვდომა არაა დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან ერთი კვირის ინტერვალით ახლდება, რაც კვლევის პერიოდში შესაძლებელია შემაფერხებელი აღმოჩნდეს და მცდარი ინფორმაცია გამოიყენოს მკვლევარმა. ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა შეზღუდულია. მართალია, წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება და თავად პროდუქტის მომწოდებლის მხრიდან პრობლემებს გაესვა ხაზი, თუმცა უშუალოდ შემოწმების პროცესში ელექტრონული წყაროებზე წვდომა ვერ მოხერხდა. ამასთან, აღსანიშნავია რომ „კონსორციუმის“ ბაზა ძალზე

მწირია სამართლის მიმართულებით, უნივერსიტეტს უშუალოდ სამართლებრივი ლიტერატურის ბაზებზე უნდა ჰქონდეს წვდომა, ამასთან, რამდენიმენოვანზე, ვინაიდან სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტები განსხვავებულ ენებს ფლობენ. ამ პირობებში შეუძლებელია კვალიფიციურ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა და თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი დისერტაციის შექმნა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: - უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს დოქტორანტებისთვის წიგნად ფონდებზე უშუალო წვდომა და ბიბლიოთეკაში დამატებითი სივრცის გამოყოფა - ელექტრონული კატალოგი უნდა იყოს მოქნილი, ყველა წიგნი იქნეს შეტანილი და მარტივი გადამოწმებით უნდა შეეძლოს დოქტორანტს წიგნის მოძიება - აუცილებელია იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზების ინტეგრირება კვლევის პროცესში, რამდენიმე მნიშვნელოვან ელექტრონულ სამართლებრივ ბაზაზე (მაგ., HEINONLINE, BECKONLINE, LEXINEXIS, WESTLAW და ა.შ.) შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა - უნდა გაიზარდოს დოქტორანტების სამუშაო სივრცე და დაემატოს დოქტორანტთა რიცხოვნობის პროპორციულად სამუშაო ადგილები, კომპიუტერები და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალის აბსოლუტურ უმრავლესობას ძალზე მწირი კვლევა აქვთ ჩატარებული, ხოლო აკადემიური ნაშრომების რაოდენობა კი იმდენად მცირე რაოდენობისაა, რომ შეუძლებელია თავად ამ პირებს ჰქონდეს ისეთი კვლევითი გამოცდილება, რომ დოქტორანტებს მიაწოდონ ინფორმაცია და განუვითარონ უნარ-ჩვევები, რომლებიც აკადემიური ნაშრომის შესაქმნელად გამოადგებათ. ამასთან, აკადემიური პერსონალის/სადისერტაციო საბჭოს წევრების ნაწილს გამოქვეყნებულ ნაშრომებში მითითებული აქვს საგაზეთო პუბლიკაციები, რაც სრულიად სცდება აკადემიურ სფეროს. მსოფლიოში არსებული არცერთი სტანდარტით არ შეიძლება სადოქტორო პროგრამის მიზნებისთვის საგაზეთო პუბლიკაციები ჩაითვალოს აკადემიურ ნაშრომად და კვლევით გამოცდილებად.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი პარალელურად დაკავებულია სამოსამართლო საქმიანობით, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სადოქტორო პროგრამისთვის დროის მაქსიმალურად დათმობის საკითხს. სადოქტორო პროგრამის მობილურობისა და ხარისხისთვის, აუცილებელია მისი ხელმძღვანელი სრულად იყოს კონცენტრირებული უშუალოდ პროგრამაზე, კვლევასა და სწავლებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- სადისერტაციო საბჭოს წევრებთან/აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- აუცილებელია პროგრამის განხორციელებაში, სწავლებასა და კვლევის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები იყვნენ ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება ექნებათ, რაც, თავის მხრივ, განმტკიცებული იქნება შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის

აკადემიური ნაშრომებით კონკრეტული კვლევითი მიმართულებით. ამასთან, პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით არ გულისხმობს და ვერ იქნება იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პირს აკადემიური თვალსაზრისით ეყოფა უნარები და გამოცდილება დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის.

- აუცილებელია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად ასოცირდებოდეს უნივერსიტეტთან და მისი პირველადი და ძირითადი საქმიანობა კვლევა, პროგრამის ხელმძღვანელობა იყოს, რათა მაქსიმალურად ბევრი დრო დაუთმოს პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან*

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონეა, იმართება რეგულარული შეხვედრები, ხდება სტუდენტებთან უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფა, მათი გამოკითხვა, რათა შესაბამისი უკუკავშირი მოხდეს. სადოქტორო პროგრამისთვის გათვალისწინებულია კონკრეტული კოორდინატორი, რომელსაც

უშუალოდ კავშირი აქვს დოქტორანტებთან, ამასთან, მათ მიეწოდებათ სხვადასხვა ინფორმაცია ტექნიკურ და სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსთა უმრავლესობაში სასწავლო მასალის ნაწილი მოძველებულია და არამრავაფეროვანი, მათი ნაწილი არ ითვალისწინებს დოქტორანტთა ლინგვისტური შესაძლებლობების მრავალფეროვნებას. სასწავლო მასალა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს როგორც ქართულ ისე უცხოენოვან თემატიკას, რომელიც უშუალოდ იქნება მიმართული დოქტორანტისთვის შესაბამისი უნარების ჩამოყალიბება-განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია მაქსიმალურად რამდენიმეენოვანი ლიტერატურა იქნეს მითითებული დამატებით მასალებში, ძირითადი კი წარმოდგენილი იყოს მეტი კვლევით და თანამედროვე დასავლეთევროპული წყაროებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილი და გამართულია. არსებობს როგორც არსებული პროგრამის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი, ისე სამომავლო ბიუჯეტის პროექტი. არსებული მდგომარეობა მოწმობს, რომ პროგრამა ფინანსური თვალსაზრისით დაბალანსებულია, ამასთან, უნივერსიტეტი ადასტურებს და გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში დააფინანსოს სამართლის სადოქტორო პროგრამა, ვინაიდან იგი ზოგადსაუნივერსიტეტო პრიორიტეტების კატეგორიაში შედის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- პროგრამის განხორციელების ფინანსური ანგარიში
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიში ითვალისწინებს `დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე~ ციკლის განხორციელებას, რომელიც გამოყენებული აქვთ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემად. უნივერსიტეტში სრულდება სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასება, სილაბუსების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში. თვითშეფასების ანგარიშის მიმდინარე ნაწილში მოცემულია ე.წ. SWOT ანალიზის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მითითებულია ინდიკატორში/მტკიცებულებაში, თუმცა სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ანალიზის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობდა რე-აკრედიტაციაზე განაცხადის შეტანის მომენტისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში. ინტერვიუები.
რეკომენდაციები: აუცილებელია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გარკვეული პერიოდული ციკლის დაცვით განხორციელდეს პროგრამის შეფასება, ე.წ. შჭOთ ანალიზი, რომლის შედეგებზე დაკვირვების შედეგები გაანალიზდება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის რეალური განვითარებისათვის სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის შეფასება, შეფასების შედეგად რეკომენდაციების წარმოდგენა უზრუნველყოს პროგრამის სამომავლო განვითარების უწყვეტი ციკლის შესანარჩუნებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სდასუ-ის თვითშეფასების ჯგუფის ინვერვიურებისას გამოიკვეთა, რომ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას ვილნიუსის უნივერსიტეტთან დაიდო მემორანდუმი, ე.ი. მიზანი ურთიერთანამშრომლობის იყო თვითშეფასების ანგარიშის პროცესში მონაწილეობა.

თვითშეფასების ანგარიშში არ არის მოცემული მონაცემებ იმის შესახებ გამოყენებულ იქნა თუ არა ისეთი გარე შეფასების შედეგები სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, როგორიც აკრედიტაციაა.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ე.წ. შჭOთ ანალიზის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მითითებულია ინდიკატორში/მტკიცებულებაში, თუმცა სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ანალიზის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობდა რე-აკრედიტაციაზე განაცხადის შეტანის მომენტისათვის. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ დოქტორანტები აფასებენ სასწავლო პროცესს, თუმცა დადასტურებაში მსგავს შეფასებაში მონაწილეობა არ დასტურდება. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესების მიზნით შიდა და გარე შეფასება არ არის აქტიურად გამოყენებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში. ინტერვიუები.
რეკომენდაციები: აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად აქტიურად და რეალურად იყოს გამოყენებული შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რა პროცესში რეალურად იქნება ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პირების აქტიურო ჩართულობა, ბაზრის კვლევა და მისი შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X	
საბოლოო შეფასება			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X	
საბოლოო შეფასება			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: